პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით

სამშაბათი, 22 აპრილი 1924 წ.

წელიწადი მეოთხე

ფასი 5 კაპ. ჩერ.

# კომუნისტი

№ 482 ქ. მ. დ. პოლიტ-განყოფილების ყოველდღ. გაზეთი

რედაქც. მის. ტფ., რუსთ. პროს. ქართ. დივ. შტაბი ქალ. ელს № 1—40

განცხადების ფასი პირველ გვერდზე 40 კაპ.—მეოთხეზე 20 კაპ. ჩერვო ნეც' ნომპარელის სტრიქონი სამგლოვიარო განცხადება 3 მან. ჩერვ. განცხადებები მორიგ ნომერში მიიღება მხოლოდ 1 საათამდე

## ვემზადოთ პირველ მაისისათვის.

ახლოვდება პირველი მაისის დღესასწაული.

პირველი მაისი არის დღე საერთაშორისო მუშათა კლასის ძმური სოლიდარობისა და ერთობის, დღე შეურიგებელი ბრძოლისა კაპიტალიზმის წინააღმდეგ.

პირველ მაისს ყველა ქვეყნის მუშები წითელი დროშით ხელში გამოდიან ქუჩებში, ახდენენ თავისი ძალების დემონსტრაციას, ჯამს უკეთებენ წარსულ მიღწევებს საერთაშორისო მუშათა მოძრაობის სფეროში და აყენებენ ახალ ლოზუნგებს კაპიტალიზმთან ახალი სამკვდრო სასიცოცხლო ბრძოლების გასამართავათ.

წრეულს განსაკუთრებულ პირობებში ვხვდებით ამ დიდებულ დღესასწაულს. ისე როგორც არასოდეს ამ დღეს საერთაშორისო პროლეტარიატმა მჭიდროთ უნდა შეაკავშიროს თავისი რიგები და მედგრად აღიმაღლოს თავისი საპროტესტო ხმა იმპერიალიზმის წინააღმდეგ, რომელიც თავისი მტაცებლური პოლიტიკით კვლავ უქადის მშრომელთა კაცობრიობას ახალ საშინელ სისხლის მღვრელ ყაჩაღურ ომებს.

საერთაშორისო რეაქციის ზრდა, ფაშიზმის უპასუხისმგებლო თარეში, სამხედრო შეიარაღების ინტენსიური განვითარება, კაპიტალის შეტევაზე გადასვლა მუშათა კლასის წინააღმდეგ, ყველაფერი ეს საშინელ დღეებით ემუქრებიან მუშათა კლასს. ამავე დროს, მიუხედავათ იმისა, რომ ზოგიერთ ბურჟუაზიულ ქვეყნებმა ჩვენ გვიცნეს, საერთაშორისო იმპერიალიზმი მაინც არ სცხრება და ახალ ახალ დაცემებს აწყობს ჩვენს წინააღმდეგ.

ყოველივე ეს მოითხოვს საერთაშორისო პროლეტარიატისაგან უფრო მტკიცედ შეამჭიდროვოს თავისი რიგები და სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გამოუცხადოს დახავსებულ ბურჟუაზიულ სამყაროს.

მხოლოდ ყვითელ ინტერნაციონალიდან ჩამოცილება და მესამე კომინტერნის დროშის ქვეშ გადასვლა მას იხსნის ბურჟუაზიის ბატონობისაგან.

ამასთანვე ერთად პირველად ჩვენ გვიხდება პირველი მაისის დღესასწაული ულენინოთ. ამიტომ ამ დღეს მშრომელთა მსოფლიომ კიდევ უნდა შეფიცოს თავის ერთგულება გენიალური ბელადის ანდერძებს.

ამ დღისათვის ჩატარებული იქნება ფართო მშრომელთა დემონსტრაციები, კრებები და მიტინგი. ამიტომ საჭიროა თითეულმა ჩვენმა ნაწილმა აქედანვე შეუდგეს პირველ მაისისათვის მზადებას და ჯეროვანად შეხვდეს ამ დიად დღესასწაულს.

## გერმანიის რეიხსტაგის არჩევნების წინ.

უახლოეს დღეებში გერმანიაში დაიწყება რეიხსტაგის არჩევნები. ბურჟუაზიული მთავრობა შეუდგა არჩევნების სამზადისს. პირველ ყოვლისა თავის დამკვრელ ამოცანად მან დაისახა კომუნისტების ალაგმვა საარჩევნო ასპარეზიდან. გერმანიის ბურჟუაზიამ კარგად იცის ის გარემოება, თუ რა დიდ საფრთხეს წარმოადგენს მისთვის კომპარტია. განსაკუთრებით დიდათ ეშინიათ მათ კომუნისტების დღეს. მორიგი გამყიდველობა დაგამცემლობა, რომელიც ჩაიდინა გერმანიის ბურჟუაზიამ ექსპერთა კომისიის დადგენილებებზე თავის თანხმობის გამოცხადებით, ხელსაყრელ პირობებს ქმნის კომუნისტების გაძლიერებისათვის. ბურჟუაზიამ იცის, რომ კომუნისტები მხურვალე მონაწილეობას მიიღებენ არჩევნებში და ნიღაბს ახდიან მათ შავ საქმეებს, მიმართულს გერმანიის მშრომელთა ხალხის დასამონავებლად. ამის კი ყველაზედ უფრო ეშინიათ ბურჟუებს. ბურჟუაზია სცდილობს ამ არჩევნებზე კვლავ მოიხვეჭოს ხალხის ნდობა და მით უფრო თავისუფლად განაგრძოს თავისი გამყიდველური პოლიტიკა, რომელიც უფრო მეტად გაამწვავებს მუშათა კლასის უმწეო მდგომარეობას, ხოლო აუარებელი სიმდიდრეს კი მოუტანს თვით გერმანიის კაპიტალისტებს.

ცხადია არჩევნებში მას დიდათ დაეხმარება სოციალ-შემთანხმებლებიც.

ერთად ერთი რევოლიუციონური პარტია, რომელიც მომავალ არჩევნებში მტკიცედ დაიცავს გერმანიის პროლეტარიატის ინტერესებს და დაუზოგავათ გამოაშკარავებს ბურჟუაზიის და სოციალ-დემოკრატიის გამყიდველობას—ეს გერმანიის კომუნისტური პარტიაა.

ამიტომაც გერმანიის მთავრობის ძალა და ენერგია მიმართულია კომუნისტების წინააღმდეგ.

ებერტის მთავრობა ყოველივე საშვალებას მიმართავს, რათა უვნებელყოს კომუნისტები და მით მთავრობის პარტიის სასარგებლოთ ჩაატაროს რეიხსტაგის არჩევნები.

როგორც რადიო დეპეშებიდან იუწყებიან გერმანიის უმაღლეს პროკურატურამ გასცა განკარგულება გერმანიის კომპარტიის ცეკას 14 წევრის დასაპატიმრებლად, რომელთა შორის რამოდენიმე რეიხსტაგის წევრებია.

პოლიციას ნაბრძანები აქვს დააპატიმროს ისინი არჩევნებამდინ, „რათა ამით დასაპატიმრებელ კომუნისტებს საშვალება არ მიეცეს დეპუტატის პიროვნების ხელ შეუხლებლობის უფლებით სარგებლობისა“.

იგივე რადიო გადმოსცემს, რომ კომპარტიის პირველი კანდიდატი რეიხსტაგში მაკს გოლცი გამორიცხულია სიიდან და მიუხედავათ მუშების თხოვნისა მისი უფლებების აღდგენის შესახებ, ის ებერტის განკარგულებით დაპატიმრებულია. გარდა ამისა მთავრობის განკარგულებით დაკეტილია თითქმის ყველა კომუნისტური გაზეთები და მათი რედაქციების ბინები დაკავებულია პოლიციელების მიერ.

აი როგორ სურს ჩაატაროს ებერტის მთავრობას „დემოკრატიული არჩევნები“.

რეპრესიების, დაპატიმრების და პოლიციელთა ხიშტების საშვალებით სცდილობს გერმანიის ბურჟუაზია და სოციალ გამყიდველები უზრუნველყონ თავისი გამარჯვება მომავალ არჩევნებზე.

მაგრამ მათ ავიწყდებათ ის, რომ კომუნისტებს მაინც დამაინც არ აინტერესებთ რეიხსტაგის წევრობა. კომუნისტები მხოლოდ ნიღაბს ხდიან მათ ბნელ მოღვაწეობას და ამზადებენ მშრომელთა მასებს სოციალური რევოლიუციისათვის. რეპრესიები არა თუ ასუსტებენ კომპარტიის ძალას, პირიქით ამით განწირული ბურჟუაზია ზედმეტ წყალს ასხამს კომუნისტურ წისქვილზე.

—ი.

# რადიო-დეპეშები

— დიუსელდორფიდან მიღებულ ცნობით გაიფიცენ ლუდის ქარხნის მუშები. როგორც ბერლინიდან იუწყებიან 23 აპრილიდან მთელიან მაღაროს მუშათა დიდ გაფიცვებს ეკონომიურ ნიადაგზე.

— ბერლინიდან მიღებულ ცნობით უკანასკნელ ხანებში უსახსროდ იქნა გამოცხადებული გერმანიის 17 ბანკი.

სირიიის აჯანყებულთა წინააღმდეგ ბრძოლაში ფრანგული ჯარები სასტიკად დაზარალდენ. დაჰკარგეს 3 ტყვიამფრქვევი, სამთო ზარბაზანი, ამუნიცია და ორასი კაცი.

— იაპონიის, იტალიის და რუმინეთის მთავრობებმა პროტესტი განაცხადეს საიმიგრაციო კანონის წინააღმდეგ.

## ინგლის-საბჭოთა კონფერენცია.

### ამხ. ზინოვიევი სსრკ-ს შინაურ და საგარეო მდგომარეობის შესახებ.

**რა სურთ ჩვენგან ინგლისის ოქროს ტომრებს.**

სრულიად კავშირის რკინისგზელთა კონფერენციაზე ამხ. ზინოვიევმა სიტყვაში საერთაშორისო და შინაურ მდგომარეობის შესახებ განაცხადა, რომ ინგლის-საბჭოთა კონფერენციის გახსნის დღეს ინგლისის გაზეთებში გამოქვეყნებული იყო ინგლისის 6 მსხვილ ბანკირის მემორანდუმი, რომელსაც მეტი მნიშვნელობა ჰქონდა, ვინემ იმავე დღეს წარმოთქმულ მაკდონალდის სიტყვას, ვინაიდან მაკდონალდი მოვიდა და წავა, ბანკირებიც, რა თქმა უნდა წავლენ, მაგრამ მაკდონალდზე უფრო დაგვიანებით. ბანკირები მოითხოვენ სსრკ-საგან სახელმწიფო და კერძო ვალების ცნობას, შეთანხმებას უცხოელთა კერძო საკუთრების საკითხში, სსრკ-ში ნორმალური სამოქალაქო კოდექსის და დამოუკიდებელი სასამართლოს შექმნას, კერძო საკუთრების ხელშეუხებლობას, გარანტიას, რომ მომავალში კერძო საკუთრებას არ მოელოდეს სსრკ-ში კონფისკაცია და საგარეო ვაჭრობის მონოპოლიის გაუქმებას.

ფაქტიურად ეს მოთხოვნილებები ნიშნავს შემდეგს: თუ ჩვენ დავთანხმდებით და ვიცნობთ კერძო და სახელმწიფო ვალებს ჩვენ მოგვთხოვენ 11 ნახ. მილიარდ ოქროს მანეთს.

მეორე მუხლი ნიშნავს ყოფილ უცხოელ კაპიტალისტების კერძო საკუთრების უფლებების აღდგენას. რუსეთში რევოლიუციამდი მოქმედებდა 112 ინგლისის მსხვილი დაწესებულება, რომელთა ძირითადი თანხა უდრიდა 1 მილიარდ ოქროს მანეთს. ზოგიერთი ამ დაწესებულებებიდან აღმოჩნდა შედარებით სასიცოცხლო და დღესაც მოქმედებენ. ბატონი ბანკირები მოითხოვენ ამ დაწესებულებათა დაბრუნებას მესაკუთრეებზე.

მესამე მუხლი ეხება განსაკუთრებულ სამოქალაქო კოდექსის და დამოუკიდებელი სასამართლოს დაარსებას. დამოუკიდებელი სასამართლო ბუნებაში არ არსებობს. ისინი ყოველგან დამოკიდებულია: ინგლისში—ბურჟუაზიისაგან, საბჭოთა კავშირში—მუშათა კლასზე და გლეხობისაგან, დამოუკიდებელ სასამართლოების მოთხოვნა უნდა იქნას გაგებული, როგორც ბურჟუაზიულ სასამართლოების აღდგენა.

მეოთხე მუხლში ბანკირები მოითხოვენ ჩვენგან გარანტიებს, რომ კაპიტალი, შეტანილი მათ მიერ, შეურყეველი იქნება საუკუნოდ. განა ეს არ არის სასაცილო რუსეთის რევოლიუციის შემდეგ? ინგლისის ბანკირებმა მისცეს რუსეთის მეფეს და ბურჟუაზიას სესხი—დიდ ძალი მილიარდების რაოდენობა, ვინაიდან ისინი დარწმუნებული იყვნენ, რომ კერძო საკუთრების პრინციპი რუსეთში ეს საუკუნო წმიდათა წმიდა და ხელუხლებელი დარჩებოდა. რა გამოვიდა აქედან სინამდვილეში ჩვენთვის ცხადია. ვერავითარმა გარანტიებმა ვერ უშველა. სერიოზული გარანტიები კაპიტალის შეტანის დროს უცხოელებს აქვს მხოლოდ დღეს საბჭოთა კავშირში, ვინაიდან სსრკ, როგორც ამას გონება მახვილი უცხოელები ამბობენ, არის ნამდვილი მტკიცე მთავრობა ქვეყანაზე და აასრულებს ყოველივე თავის თავზე აღებულ ვალდებულებას.

რომ ბანკირების მემორანდუმი სერიოზულად მივიღოდ, მაშინ დღესვე შესაძლებელი იქნება ჯვარი დავუსვათ მოლაპარაკებას. ფაქტიურად ბანკირები მოითხოვენ ჩვენგან რეჟიმის სრულ შეცვლას.

ასე ესმის ბანკირების მოთხოვნილება ინგლისის პრესასაც.

**ჩვენ მონობაში ფეხს არ ჩავდგამთ.**

მაგრამ ჩვენ იმისთვის კი არ მოგვიხდენია დიდი რევოლიუცია და რამოდენიმე წელი გვიბრძოლია უცხოეთის ბურჟუაზიის წინააღმდეგ, რომ შევსცვალოდ დღეს ჩვენი რეჟიმი 6 ბანკირის მითითებით. თუ ვიფიქრებთ, რომ ეს ინგლისის უკანასკნელი მოთხოვნილებაა, უნდა ვსთქვათ, რომ ლონდონის კონფერენციიდან არაფერი გამოვა. შეიძლება ეს ასეც მოხდეს, ჩვენ ამისთვის მზად ვართ. ჩვენ გვსურს სესხის დაარსება ინგლისში, წავალთ ამისთვის სერიოზულ დათმობაზე, გადავიხდით პროცენტებს, მაგრამ არავითარ მონობაში ფეხს არ ჩავდგამთ.

როგორი მძიმეც არ უნდა იყოს ჩვენი სამეურნეო მდგომარეობა, ის გაცილებით უკეთესია, ვინემ წინად იყო.

ჩვენ თავზედ არ გვაწვიმს. დრო გვაქვს. ღრმად სცდება ის ვინც ფიქრობს, რომ საჭიროა მონური პირობების მიღება. თუ სერიოზულად მივიღებთ ბანკირების მემორანდუმი იმ შემთხვევაში საქმე შეგვიძლია ჩავთვალოთ ჩაშლილად. მაგრამ ჩვენ საქმე გვაქვს ვაჭრებთან, მათ უვაჭროდ დათმობა არ შეუძლიათ, ხოლო ადრე თუ გვიან ისინი ალაპარაკდებიან სერიოზულად და წავლენ სერიოზულ დათმობაზე. ამ შემთხვევაში შეიძლება იმედი ვიქონიოთ, რომ სერიოზული საქმე გამოვა. არ გამოვა-დავიცდით: გამოვა შემდეგში.

**ამაოდ გვიხვევს მაკდონალდი თვალებს.**

ამხ. ზინოვიევი ეხება მაკდონალდის სიტყვებს და ამბობს: „მეტად საინტერესო ნოტა ისმის მაკდონალდის შემდეგ სიტყვებში: „ჩვენ ინტერესები საურთიერთო თანასწორი ხასიათისაა. მაგრამ თუ ჩვენ ვერ შევძლებთ შეთანხმებას ეხლა, მაშინ თქვენ შეიძლება არც კი დაგირჩეთ შესაძლებლობა გაიმეოროდ ეს ცდა დღევანდელ, ან რომელიმე ინგლისის სხვა მთავრობასთან.“ მეორე ნაირად: მაკდონალდი ამბობს: „დღეს ან არასოდეს“. ჩვენ შევეჩვიეთ ამ გვარ მუქარებს. გასულ გაზაფხულზე კერზონი გვემუქრებოდა ჩვენ ომით და თითქოს, კერზონზე უფრო საშიში არავინ იყო. მაგრამ სად არის კერზონი ეხლა? თავის დროს ლო-

იდ-ჯორჯი გვაშინებდა ჩვენ: „დაამყარეთ შეთანხმება ჩემთან, თორემ როცა მე გადამაყენებენ, კონსერვატიული მთავრობა იქნება და თქვენთვის იქნება უფრო ცუდი“. მაგრამ ჩვენ არ შეგვშინებია.

ასევე იქცევა დღეს მეორე ინტერნაციონალის წარმომადგენელი—მაკდონალდი. ეს ოპტიური მოტყუილებაა. შესაძლებელია რომ საკითხი სესხსა და კრედიტების შესახებ წავა უფრო ჩქარა, სწორედ იმ მომენტისკენ, როცა პრემიერ-მინისტრად, იქნება არამედ რომელიმე კაპიტალისტური ზუბრი, ვინაიდან თვით მაკდონალდს არაფერი სერიოზული არ აქვს: კაპიტალი ცოტა აქვს, გავლენა მართველ წრეებში მას არ აქვს და მთავრობაში არის მხოლოდ იმიტომ, რომ ეს ხელსაყრელი იყო ინგლისის ბურჟუაზიისათვის, ხოლო მისთვის ხელსაყრელი იყო ის, რომ საბჭოთა რუსეთი ეცნო მუშათა მთავრობას. მსგავსივე შემთხვევა იყო გერმანიაში.

ჩვენ გვახსოვს როგორ უქეროდენ საბჭოთა რუსეთს გერმანიის მინისტრების მე-2-რე ინტერნაციონალის წევრები. რაპალოს ხელშეკრულება დადებულ იქნა არა მენშევიკური მთავრობის, არამედ ჩვეულებრივი ბურჟუების მიერ, რომლებმაც დაინახეს რომ ჩვენ სერიოზული ძალა ვართ და ანგარიში უნდა გაგვიწიონ. ჩვენ მშვენივრად ვიცოდით, რომ „მუშათა“ მენშევიკური მთავრობა საფარია ბანკირებისათვის. ამ მოსაზრებით მომენტი ნაკლებ გამოსადეგია. მივაღწევთ ჩვენ რაიმე საქმიან შეთანხმებას ინგლისთან! ამის წინასწარმეტყველება არავის არ შეუძლია.

მაგრამ მონურ პირობებზე ჩვენ არ დავეთანხმებით. ჩვენ მომხრევართ უცხოეთის კაპიტალის საქმეში ჩაბმის. ჩვენი წინადადებები სავსებით სერიოზულია, და ჩვენში კაპიტალის შემოტანა და მისი წარმოება—ნამდვილი საიმედო საქმეა, ვინაიდან ჩვენ ხვალ ვერავინ ვერ გადაგვაყენებს.

ვფიქრობ, რომ ბოლოს დაბოლოს, რაღაც ფიქრების შემდეგ, ინგლისელები თანახმა იქნებიან კაპიტალის შემოტანაზე. თუმცა სერიოზულია ლონდონის მოლაპარაკება, მაგრამ, საბჭოთა კავშირის ბედი იჭრება არა იქ.

**სსრკ-ს ბედი წყდება არა ლონდონში.**

ის სწყდება აქ. ის სწყდება ჩვენს სამეურნეო აღმშენებლობაში. ვფიქრობ, რომ თქვენს ყრილობაზე დასმულ კითხვას კოოპერაციის შესახებ, აქვს რკინის გზებთათვის არსებითად არა ნაკლები, არამედ მეტი მნიშვნელობა, ვინემ მაკდონალდის ბენგალურ ცეცხლს. ამ საკითხის მოხდენილად გადაჭრას დიდი მნიშვნელობა აქვს სსრკ-ს სამეურნეო აღმშენებლობაში.

ამხ. ზინოვიევი დაწვრილებით ჩერდება ფულის რეფორმაზე და დასასრულ უსურვებს ყრილობას გამარჯვებას და ნაყოფიერ მუშაობას.

მწუხარებას, რომ მაკდონალდს არ აქვს საშუალება ინახულოს საქართველო, რათა დარწმუნდეს ადგილობრივად მუშათა და გლეხთა განწყობილებაში.

მაკდონალდი გმობდა ხშირად საბჭოთა ხელისუფლებას, მაგრამ მაკდონალდი არ აყენებს ყველაფერზე მაღლა დემოკრატიას, ვინაიდან ის უშვებს მონარქიის და ლორდთა პალატის არსებობას.

დავა მე-3-ე და მე-2-ე ინტერნაციონალს შორის—დიდი ისტორიული საკითხია, მაგრამ სერიოზულმა და ხანგრძლივმა აზრთა სხვა და სხვაობამ საბჭოთა სისტემასა, ინგლისის მონარქიის დიქტატურასა და ეკლესიას შორის ხელი არ უნდა შეუშალონ ფართე-სამეურნეო კავშირის დამყარებას, რომელიც თანაბრად ხელსაყრელი იქნება ორივე ქვეყნისათვის.

**მხოლოდ პროლეტარიატის დიქტატურა მიანიჭებს ევროპას მშვიდობას.**

შეკითხვაზე—უზრუნველყოფს თუ არა ვერსალის ხელშეკრულობის რადიკალურად გადასინჯვა ევროპის მშვიდობიანობას, ამხ. ტროცკიმ განაცხადა; „ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორი მეთოდებით იქნება განხილული ვერსალის მოლაპარაკება, დღევანდელი სახით ევროპას ნაკლები სასიცოცხლო უნარი აქვს; მისი სამეურნეო და კულტურული აღორძინება შეიძლება მისი გაერთიანება შეერთებული შტატებისა და ევროპის ჩარჩოებში. დღევანდელ მმართველ კლასებს ასეთი ამოცანების შესრულება არ შეუძლიანთ. მხოლოდ მუშათა კლასი, რომელიც აიღებს ხელისუფლებას, გააერთიანებს ევროპას და ამით ის იხსნის მის კულტურას“.

**ტერიტორიალური არმია.**

ამხ. ტროცკი ათავებს თავის სიტყვას განცხადებით, რომ ტერიტორიალურ არმიაზე გადასვლა ნიშნავს ჩვენ მშვიდობიანობის მოყვარულობას, ვინაიდან მილიციონური სისტემა მოწყობილია უფრო თავდაცვის, ვინემ თავდასხმის ამოცანებზე.

# ვინ იქნება შემდეგი?

ვიწერ გაზეთ „წითელ არმიელს“ ხუთი თვის ვადით სოფელ ზემო ქვალონის სამკითხველოსთვის (ზუგდიდის მაზრა) და ვიწვევ ქართულ სამხედრო სკოლის მეთაურებს ს. ანთელავას მწყობრის თავ გ. ჩიტაიშვილს—თოდუას, ასათიანს. კურსანტებიდან კურსანტ ამხ. კოტრიკაძეს ევ. ჰანტურიას სვ. მესხს ვ. წილოსანს ბაგრ. გაბუნიას და მ. ქინქლაძეს.

იმედია ამხანაგები გამოიწერენ თავიანთი სოფლებისათვის გაზეთ „წითელ არმიელს“.

კურს. ჭკადუა.

# სსრკ და კაპიტალისტური ქვეყნები.

**საუბარი ამხ. ტროცკისთან,**

ამერიკის „იუმანიტედ პრესს“-ის კორესპონდენტთან ინტერვიუში ამხ. ტროცკიმ განაცხადა, რომ რუსეთის ურთიერთობა დანარჩენ ქვეყნებთან არ იქნება ნორმალური, სანამ სხვა სახელმწიფოები არ მიეჩვევიან ჩვენს დანახვას ისე, როგორიც ვართ ჩვენ სინამდვილეში.

ჩვენ არ მოვითხოვთ ბურჟუაზიულ ქვეყნებიდან, რათა ისინი გახდნენ კომუნისტურ სახელმწიფოებად, მაგრამ ჩვენ ვიტოვებთ უფლებას დავრჩეთ კომუნისტებად, მაგრამ იმედი გვაქვს, რომ ვიქნებით ნამდვილი სამედო კონტრაგენტები ვალდებულებათა შესრულების საქმეში, ვინაიდან ჩვენ წარმოვადგენთ საკმაოდ ძლიერ მთავრობას, იმიტომ, რომ სწორი ეკონომიური კავშირი საბჭოთა კავშირისა მთელ მსოფლიოსთან საარსებო აუცილებლობაა ჩვენი და მსოფლიო მეურნეობისათვის.

**ჩვენი დამოკიდებულება იაპონია-ამერიკის კონფლიქტისადმი.**

ქვევით ამხ. ტროცკიმ განაცხადა, რომ სიცრუეა, თითქოს ჩვენ სპეკულიაციას ვეწეოდეთ იაპონიასა და შეერთებულ შტატებს შორის ანტაგონიზმის გამწვავებით, ვინაიდან ჩვენ დაინტერესებული ვართ მხოლოდ ნორმალური, მუდმივი და მშვიდობიანი დამოკიდებულებით ჩვენს დასავლეთის და აღმოსავლეთის მეზობლებთან. პასუხისმგებლობა იმ საკითხში, რომ საბჭოთა კავშირსა და შეერთებულ შტატებს შორის არ არსებობს კავშირი, სავსებით აწევება თავს შეერთებულ შტატებს.

**რას ნიშნავს ვენის კონფერენციის ჩაშლა.**

სსრკ-სა და რუმინეთს შორის ომის შესაძლებლობის შესახებ ამხ. ტროცკიმ განაცხადა, რომ ომის ჩვენ არ ვაპირებით, ხოლო ვენის კონფერენციის მოლაპარაკების ჩაშლა ნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირი გადაჭრით ამბობს უარს სანქცია მისცეს ძალადობით, მტაცებლურად დაკავებას ბესარაბიისა რუმინეთის მიერ.

**ჩვენი პროტესტი ინგლისის სესხის შესახებ..**

კრედიტის შესახებ ამხ. ტროცკიმ განაცხადა, რომ კრედიტი წარმოადგენს ურთიერთობის ერთ-ერთ ფორმას, რომელიც გამოსადეგია ორივე მხარესათვის, და უფრო ინგლისისათვის, ვინაიდან სესხის გამცემი ყოველთვის მეტ სარგებლობაშია. კრედიტი გათვალისწინებულია მოხმარდეს სასოფლო მეურნეობის საჭიროებას, მრეწველობასა და ტრანსპორტს.

**ინტერვიუ ამხ. ტროცკისთან.**

,,ინტერნაციონალ ნიუზ სერვის‘‘-ს კორესპონდენტთან საუბარში ამხ. ტროცკიმ განაცხადა, რომ ხმები წითელი არმიის მობილიზაციის შესახებ ტყუილია. მისი გამოსვლა ტფილისში არ არის გალაშქრება მაკდონალდის წინააღმდეგ, როგორც ამას ინგლისის პრესა ამტკიცებს; მაგრამ ჩვენ უფლებას ვაძლევთ თავს გავაკრიტიკოდ მაკდონალდის პოლიტიკა, როგორც ის სარგებლობს ჩვენი პოლიტიკის მიმართ.

**მაკდონალდის შესახებ.**

მაკდონალდის გამოლაშქრებაზე საქართველოს საბჭოთა პოლიტიკის შესახებ ამხ. ტროცკი გამოსთქვამს

# სამხედრო აპარატის რეორგანიზაციის პრინციპები და მნიშვნელობა.

**სამმართველო აპარატის შეკვეცა. დაბალ სამხედრო ორგანიზაციის დამოკიდებულობის გაძლიერება. ანგარიშის შეკვეცა. ფუნქციონალური ნიშნები. ყურადღება სამოქალაქო ომში გამოცდილ ახალგაზრდობას. წითელ არმიელთა მდგომარეობის გაუმჯობესება.**

ბოლოს საორგანიზაციო წესის სხვა ზომებთან ერთად საჭიროა აღვნიშნოთ მთავარ სარდლობის ინსტიტუტის გაუქმება, რომელიც წარმოადგენდა სამხედრო პერიოდის ნაშთს. მთავარ სარდლობის ფუნქციები განაწილებულია შტაბსა (ოპერატიული საკითხები) და მუშურ-გლეხურ წითელი არმიის ინსპექტორს შორის (ჯარების და უფროსთა შემადგენლობის მომზადება) ამით შესაძლებელი გახდა ერთგვარი გარკვეულობისა და სიმარტივის შეტანა ძირითად ცენტრალურ ორგანოების ურთიერთობაში, რომლებიც ამ ჟამად აგებული არიან ფუნქციონალურ ნიშნების მიხედვით. და შესაძლებელი გახდა აგრეთვე პარალელიზმის მოვლენათა აშორება ზოგიერთ მათგანის მუშაობაში.

შემდეგი არსებითი ორგანიზაციულ ცვლილებას წარმოადგენს არსებული აპარატის შეგუება ახალ ამოცანებზე, რომლებიც გამომდინარეობენ სამილიციო აღმშენებლობის გაფართოებულ პრაქტიკისაგან.

მთელ რიგ კადრის ნაწილების გადაყვანა მილიციონურ საფუძვლებზე ითვალისწინებს მათ კავშირს განსაზღვრულ ტერიტორიალურ რაიონებთან და მათზე მრავალი ფუნქციების გადაცემას, რომლებსაც ასრულებდენ ადგილობრივი სამხედრო სამმართველო ორგანოები—გუბ. და სამაზრო სამხ. კომისარიატები (გაწვევამდე მომზადება, სამხედრო ვალდებულთა აღრიცხვა, მობილიზაციაში მონაწილეობა და სხვა.) ყოველივე ეს აუცილებლად გვიკარნახებს ზემო აღნიშნულ ორგანოების გაერთიანების საჭიროებას, რაიც ხორციელდება ახალ საორგანიზაციო სტრუქტურაში, რომელიც ითვალისწინებს კორპუსის და დივიზიის ტერიტორიალურ ოლქების შექმნას.

შემოღებული ცვლილება ჯერ მხოლოდ პირველი ნაბიჯია მილიციონურ სისტემის ორგანიზაციულად განმტკიცების გზაზე. დღევანდელ მდგომარეობაში საორგანიზაციო სტრუქტურა არ არის დამთავრებული, მაგრამ ეს დაუსრულებლობა სავსებით შეეფერება ჩვენი სამხედრო აღმშენებლობის დღევანდელ სტადიას, რომელიც ატარებს შერეულ ხასიათს (ერთ და იმავე დროს მილიციონური და კადრის ნაწილების არსებობა). ამ ხასიათს წითელი არმია უეჭველია დიდხანს შეინარჩუნებს, ვინაიდან უფრო ფართოდ შორს წასვლა, ვინემ ეს დღეს არის აღნიშნული, მილიციონურ სისტემის გზაზე, თუ რომ წინასწარ არ იქნება ფართედ განხილული აღმშენებლობის ახალი ფორმები, არა გონივრული ნაბიჯი იქნებოდა.

მეორე დამახასიათებელი მომენტი რეფორმისა—ეს არის გაბედული ნაბიჯი სამხედრო და, პირველ რიგში, ცენტრალურ აპარატის მომუშავეთა პირადი შემადგენლობის განახლების საქმეში.

ამ ზომის საჭიროება აბსოლიუტურად მომწიფდა. უკანასკნელ წლებში მოხერხდა ახალი სამხედრო მომუშავეთა კადრის შედგენა—ენერგიულ ახალგაზრდობისაგან, რომლებიც გამოიწვრთნენ რევოლიუციისა და სამოქალაქო ომის ქურაში. ამ კადრს აკლდა თეორიული მომზადება. მშვიდობიანი წლების განმავლობაში ეს ნაკლი საგრძნობლად იქნა გამოსწორებული, სამხედრო აკადემიის მეოხებით და დღეს შეიძლება სავსებით იქნას მოხდენილი ცვლილება სამხედრო აპარატის ყველა საფეხურებზე.

ჩვენი ზურგის აპარატი თავის შემადგენლობით გაჩერდა იმ საფეხურზე, რომელზედაც ის იყო ომის დროს და მეტ ნაწილად შედგებოდა ისეთი ელემენტებისაგან, რომელთაც არ ქონდათ გავლილი სამოქალაქო ომის სკოლა და ცუდათ შეთვისებული წითელი არმიის სული და ხასიათი.

მისი მეორე ნაკლი იყო ის, რომ მის შემადგენლობაში შედიოდა ხნიერი პირები, რაც არ შეიძლებოდა არ დასჩნეოდა მუშაობის ნაყოფიერებას.

მომხდარი რეფორმა დაეყრდნო გაბედულად ახალგაზრდობას და, პირველ რიგში პარტიულს და სამოქალაქო ომის შკოლაში გაწვრთნილს.

ფართე გზა წითელ კომანდირს—აი მისი ძირითადი ლოზუნგი.

ნიშნავს თუ არა ეს ძველი სპეცების დევნას? ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ ისინი არ არიან საჭირონი წითელი არმიისათვის. არავითარი ამის მსგავსი. ის, ვინც მუშაობდა და მუშაობს წითელ არმიაში გენშტაბის შემადგენლობიდან, ვინც მის მომზადებას მისცა თავისი ძალა და ცოდნა, სრული უფლება აქვს იფიქროს, რომ მუშურ-გლეხური სახელმწიფო აფასებს მის დამსახურებას. საკითხის დასმა იმ კუთხით, რომ არ არის საჭირო ძველი სპეცებთან თანამშრომლობას, ეს იქნებოდა წარმოეპულ ზომების დიდი აზრის არ ცოდნა და ყველა პერსპექტივების დამახინჯება. ჩვენ ვმუშაობდით და ვიმუშავებთ ხელი-ხელ ჩაკიდებული, ვინაიდან ძველები არც იმდენი „ბებრებია“, ხოლო ახალგაზრდობამ ჯერ კიდევ ბევრი უნდა ისწავლოს.

გარდა აღნიშნულ პრინციპიალურ მოსაზრებათა, მიმდინარე რეფორმა გამოდიოდა ფინანსიურ მოსაზრებებიდან, სახელდობრ: განთავისუფლებულიყო მაქსიმალური თანხები სამხედრო უწყების ბიუჯეტში იმ ანგარიშით, რათა მოხმარებოდა ისინი წითელი არმიის საერთო მდგომარეობის და, პირველ რიგში, მისი უმცროსი და საშუალო მეთაურთა შემადგენლობის მდგომარეობის გაუმჯობესებას.

ამ ჟამად გაკეთებულია მხოლოდ მიღებულ ეკონომიის საერთო ჯამები და მათ საფუძვლებზე რევსამხსაბჭომ გამოიმუშავა გეგმა მათ მოსახმარად, რომელიც უკვე პრინციპიალურად მოწონებულ იქნა ზემო ხელმძღვანელ პარტიულ ინსტანციების მიერ. ეს გეგმა სხვათაშორის შეიცავს, თუმცა ჯამაგირის ტარიფის გადიდებას გუნდის უფროსებამდი, ჩათვლით.

ამ რიგად, მომხდარ რეფორმის საერთო მნიშვნელობა მდგომარეობს უპირველესად, სამმართველო აპარატის ხარჯების შემცირებაში, მეორე მხრივ მისი ღირსების გაუმჯობესებაში, მესამედ—წითელი არმიის მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესების შესაძლებლობაში, რაიც მისი სამხედრო ძლიერების მთავარი და ძირითადი თავდებია.

მ. ფრუნზე.

12 აპრილი 1924 წ.

ქ. მოსკოვი.

(გაზ. ,,პრავდა‘‘.)



## ცალკე მესანგრე ასეულის წითელ არმიელების გაცილება.

ცალკე მესანგრე ასეულიდგან 11 აპრილს გაემგზავრენ უვადო შვებულებატი 13 წითელი მესანგრეები, რომლებიც განთავისუფლებული იქნენ ოჯახური მდგომარეობის გამო. წასვლის დროს დამრჩენი და მიმავალი წით. არმიელები შეიკრიბნენ ერთათ ყაზარმაში გამოსამშვიდებლად. გამოსამშვიდებელი სიტყვები წარმოსთქვეს სამხკომმა, პოლიტ-ხელმა და წითელ არმიელებმა, რომლებიც ავლენ[?]დენ უვადო შვებულებაში წამსვლელ წით. არმიელებს შეძენილ ცოდნის სოფლიურ ცხოვრებაში გამოყენებას. მიმავალი წით. არმიელები მოვალეთ სთვლიან თავიანთ თავს, გაუწიონ დახმარება იმ წით. არმიელების ოჯახებს, რომლებიც ჯერ-ჯერობით რჩებიან ჯარში.

შემდეგში დამრჩენმა წით. არმიელებმა მიმავალნი გააცილეს სადგურამდე და იქაც გამომშვიდების სიტყვებით დაშორდნენ ერთმანეთს,

პარტკორი: **მეგრელიშვილი.**

## მიღწევები კულტურულ ფრონტზე.

ყველასათვის ცხადია, რომ დღეს საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზედ მყოფ სამხედრო ნაწილებში სწარმოებს ინტენსიური მუშაობა კულტურულ ფრონტზედ. წინად თუ სამხედრო პ.რის მოვალეობა იყო მხოლოდ სამხედრო საქმის შესწავლა, დღეს სამაგიეროდ მუშების და გლეხების ხელის უფლების დროს, მთავარი ყურადღება ექცევა, როგორც სამხედრო საგნების შესწავლას ისე კულტურულად მომზადებას რისთვისაც არსებული მთავრობა იძლევა ფართო საშვალებს, რომელიც საშუალებას მისცემს მუშების და გლეხების შვილებს კულტურულად ისეთ დონეზე დადგომისა, როგორც ეს შეფერის მშრომელი ხალხის ინტერესების დამცველს, რევოლიუციონურ მხედრებს. ჩვენი სკოლა ჩაბმული როთულ მეცადინეობაში, ძლიერი ენტუზიაზმით ეკიდება საერთო განვითარებას.

ამავე სკოლის საარტ. განყ-ბა ამ დარგში თავის სიმაღლეზე სდგას. გვაქვს მშვენიერად მოწყობილი „ლენინის კუთხე სადაც ყოველ კვირაობით იმართება პოლიტ-ლატარეები და სხვა და სხვა სახის გასამართლებები. რაშიაც ამხ. კურსანტები მხურვალ მონაწილეობას ღებულობენ. კვირას 6 აპრილს, შესდგა ხსენებულ განყ. კურსანტების საერთო კრება, სადაც ამხ. მჭედლიშვილმა გააკეთა მოკლე შინაარსიანი მოხსენება „ლენინის კუთხის“ მნიშვნელობაზე და კრებას წარმოუდგინა კუთხის დაწვრილებითი ანგარიშები ძველი გამგეობის სახელით. დასასრულს მოხდა ახალი გამგეობის არჩევა, არჩეული იქნა შემდეგი ამხ: ჰ. ასათიანი, კ. ელიაშვილი, ვ. გოგლიჩიანი, გ, შოთაძე და გ. ელიაძე. კანდიდატებათ: ვ. დომუზაშვილი და ვ. მელქაძე, კრებამ დიდი მადლობა გამოუცხადა ამხ. ჰ. ასათიანს, რომლის დაუღალავ ენერგიით მოეწყო ხსენებული კუთხე. მადლობის ღირსია აგრეთვე ამავე განყ. უფშემადგენლობა, რომლებიც თავისი წრფელი გულით მატერიალურ დახმარებას უწევენ ჩვენს კუთხეს და ამხ. კურსანტებს გვერდში უდგას ყოველ გვარ განათლების საქმეში.

კურსანტი: **კ. ელიაშვილი.**

## ქართულ მეთაურთა სკოლის და 1 ლეგ. საკლუბო მუშაობის შეჯიბრის შესახებ.

პოლიტ-განყოფილების საკლუბო ნაწილი დიდი ხანია ცდილობდა ამხ. მამულაიშვილის სახით მოეწყო ერთ გვარი შეჯიბრი ქართულ ნაწილების კლუბებს შორის, მათი მასიურ მუშაობის საილიუსტრაციოდ, ამ მოვლენას, ჩვენი აზრით, უნდა დაენახვებია აუცილებლობა საკლუბო მუშაობის ახალ ფორმების ძიებისა და მოძველებულ წითელ არმიელთა აუდიტორიისთვის შეუსაბამო და არავითარ სარგებლიანობის მომტანი ფორმების განდევნა, რითაც საშუალება მისცემოდა კლუბებს არ დასცილებოდენ საკლუბო მუშაობის მთავარ ამოცანას, რომ „გლეხ-მეშჩანი“-დან შექმნან პოლიტიკურ-კლასიბრივათ შეგნებული და განვითარებული წითელი მეომარი-მოქალაქე.

ამ მხრივ პირველი ნაბიჯი გადადგმულ იქმნა, მარტის 31 ქართ. მეთაურთა სკოლის კლუბის მიერ, რომელიც გამოამზეურა მხოლოდ ნაწილი სამხატვრო ფორმების მასიურ მუშაობისა, ვინაიდან ყველაფრის ე. ი. ჩვეულებრივი გარდამავალი და სამხატვრო ფორმების ყველა სახეები მასიურ მუშაობისა ტეხნიკურადაც შეუძლებელი იყო ამოწურულიყო ერთი საღამოს გამართვით. გამართულ საღამო წარმოდგენის პროგრამა შეიცავდა შემდეგს:

1. „ორი ბანაკი“ პიესა 3 მოქ. რომელიც შინაარსის მხრივ წარმოადგენს რევოლიუციამდე ქართველ საზოგაოოების სხვა და სხვა კლასების თუ წოდების ტიპიურ ასახვას. მათ პოლიტიკურ-სოციალურ უთანასწორობას, ინტერესთა წინააღმდეგობას და თუ ვინ როგორ ეწეოდა ყოველდღიურ ცხოვრებას.

2. „ფაშიზმის თარეში“ (აგიტბალაგანი აგიტაცია ხუმრობაში) რომელიც ერთის მხრივ ხუმრობაში ეწევა აგიტაციას და მეორეს მხრივ ზოგადათ, მაგრამ სხარტულათ გვისურათებს საერთაშორისო პოლიტიკურ მდგომარეობას ს. ს. რ. კ. ცნობის გამო.

3. „ბუდა“ ლექსი რომელიც ჩატარებულ იქნა არა მშრალი-დეკლამაციით, არამედ სცენური განსახიერებით, რის შინაარსი მდგომარეობს მასში, რომ „ძლიერ ბუდას“, კერპს შემკულს ოქრო-ბრილიანტებით, უდაბურს ტყეში წააწყდებიან თავის გლახები მშიერ-ტიტველნი და მოუნდომებენ გაქურდვას, რომლებიც გრძნობენ, რომ ბუდასათვის ძვირფასი განძეულობა, მხოლოდ-დასამშვენებლად არის, ეს კი უსამართლობაა იმ დროს, როდესაც ისინი მშიერ-ტიტველნი იხოცებიან. „ბუდა“ რისთვის გვრის გლახებს გაკადნიერებისათვი, მაგრამ როდესაც მას წარუდგება ერთი გლახათაგანი და ეტყვის: რომ „მტყუანი ხარ ჩვენთან ცამდე „ბუდა“. და „ვდგევარ შენთან, შენთან ვით თანასწორი-“ო და მას არ ეშინია მისი რისხვის, ძლიერ „ბუდა-“ს იმორჩილებენ.

4. „მორჯულებული ხუცესი“ ოპერეტაა. (თუ შეიძლება ასე ითქვას) სადაც კურსანტს მიჰყავს თავის სახლში ამხანაგები და მას მოხუც მამასთან ერთად დახვდება ხუცესი, რომელზედაც გავლენა მოუხდენია წინეთ არსებულ წესწყობილების შეცვლას და კომკავშირელ კურსანტთა წინაშე ამჟღავნებს მის მოძღვრების სიყალბეს და უარს ამბობს ხუცესობაზე. აქ არაფერია ისეთი მოცემული, გარდა ხუცესის ტიპისა, რომელიც ნამდვილი განსახიერებაა დღევანდელ სამღვდელოების ნაწილისა. მხოლოდ აქ იყო მიღწევები. მუსიკალურ შემოქმედებაში კურსანტთა მხრივ.

5. **კოლექტიური ზეპირი ხატვა** ერთი სურათისა. აქ იყო ორი ეფექტი: ერთი კოლექტიური ზეპირი ხატვა—**შესრულება** და მეორე—**შესრულებული**—ჩვენი ბელადის ამხ. **ლენინის** სურათი და მასთან ორი წითელ არმიელი დაშვებული დროშებით.

6. დასასრულს მომღერალთ გუნდმა შეასრულა ახალი რევოლიუციონური სიმღერები და საღამო დამთავრდა, გუნდისავე მიერ გერმანულ ენაზე ინტერნაციონალის შესრულებით.

მთელი პროგრამა (გარდა „ბუდასი“). წარმოადგენდა კურსანტების შემოქმედებას, როგორც ინდივიდუალურს ისე კოლექტიურს და აგრეთვე შესრულებულ იქმნა მხოლოდ კურსანტების მიერ.

საპასუხოთ ამ საღამო-წარმოდგენისა პირველ ლეგიონის კლუბმა დადგა აპრილის 3-ს კლასიკური პიესა **შილერისა „ყაჩაღები“**, რაზედაც, სიმართლე უნდა ითქვას, შესრულების მხრივ იყო დამაკმაყოფილებელი. მაგრამ ესეც უნდა დაუმატოთ, რომ მთავარ როლებში თამაშობდნენ სტუდიელები, რომლებიც სპეციალურათ მიწვეულნი არიან კლუბში სხვა და სხვა თანამდებობაზე. (აგრეთვე იქ. ჩვენ ვნახეთ მთავარ როლებში დივგოსპიტალის კლუბის უფროსი და მე-2 ლეგიონის რეჟისორი) მხოლოდ მეორე ხარისხოვანი როლები ჰქონდათ მეთაურთ და წითელ-არმიელთ.

საღამოს დასრულებისას ერთ კურიოზულ მოვლენას ჰქონდა ადგილი. გამოდის წერილობითი განცხადებით ამხ. **წვენიევი** (1-ლ ლეგ. კლუბის უფრ. დავალებით). და აცხადებს, რომ 1 ლეგიონი გამოდის შეჯიბრში არა მასიურ მუშაობის საილიუსტრაციოთ არამედ დრამწრის დრამატიულ ხელოვნების მიღწევების გამოჩენის მიზნით.

მაგრამ კომისიის სხდომაზე, რომელიც შეიკრიბა აპრილის 7-ს და შეუდგა ორივე საღამოების შეფასებას საკლუბო ნაწილის უფროსმა ამხ. მამულაიშვილმა განაცხადა, რომ „ორივე ნაწილის კლუბის უფროსებმა კარგათ იცოდენ ჩემგან, რომ შეჯიბრებას უნდა მისცემოდა ხასიათი მასიურ მუშაობის“-ო.

ეს განცხადება და მისი წინასწარი აზრი შეჯიბრის შესახებ, ნათელ ჰყოფს, რომ როდესაც ჩვენ გამოვდიოდით შეჯიბრში, სხვანაირათ არ შეგვეძლო და არც შეგვიძლია ვიფიქროთ, როგორც წერილის თავში მოვიხსენიეთ. ჩვენ, რომ გვცოდნოდა წინააღმდეგი, მაშინ ასეთ შეჯიბრს დაუძახებდით უაზრობას და მეტს არაფერს. ვინაიდან სამხედრო სკოლა დრამატიული სტუდია არ არის, რომ კურსანტი ვარჯიშობდეს და სწავლობდეს საკლუბო ორგანიზაციებში, მხოლოდ იმისათვის, რომ მან თავი გამოიჩინოს დრამატიულ ხელოვნებაში.

სხვებსავით ჩვენ არ ვფიქრობთ, რომ თვითშემოქმედება თითქოს გამოიხატებოდეს მარტო იმაში, რომ კურსანტი ან წითელ·არმიელი გამოვიდეს სცენაზე „აქტიორათ“. არა, ჩვენ პირიქით, უნდა ვცდილობდეთ და ყოველ მხრივ ვებრძოდეთ სცენიურ გატაცებას კურსანტისას. წმინდა სცენური ხელოვნება არის სპეციალურ დასის საქმე. კურსანტი კი გამოყენებულ უნდა იქნას სცენურ განსახიერებაში (Инсценирование) პოლიციკურ-რევოლიუციონურ ამბებისა, აგიტგასამართლების, ცოცხალი გაზეთის, რევოლიუციონურ და სამხედრო სათამაშოების მოსაწყობათ, სადემონსტრაციოთ თავიანთ მიღწევებისა წრეებში მუშაობის დროს და სხვა... ვინაიდან ჩვენ გამოცდილებიდან ვიცით, რომ სცენაზე გამოჩენილი კურსანტი ახდენს გადაფასებას თავის უნარიანობისას და სთვლის თავის თავს ნამდვილ მოწოდებულ არტისტად.

ამ მომენტის შემდეგ იმისათვის არ არსებობს არავითარი სამხედრო დისციპლინა, სწავლაში რჩებიან უკან დანარჩენ ამხანაგებს და სხვა. ბოლოს ის ხდება მსხვერპლი თვითნებობის, რითაც ის სწამლავს სხვებსაც. შედეგი კი ყოველივე ამისა ძალიან ცუდია და არა სასიამოვნო.

ჩვენ ამ წერილში არ შეუდგებით ჩვენი საღამოს ქებას და არც მეორეს გინებას. და არც ის გვაინტერესებს „მე პირველეს“ სახელზე გაზეთის გამოშვება და შიგ რეჟისორების და სხვების სურათების მოთავსება, მხოლოდ რაც ზემოთ მოვიყვანეთ ეს აუცილებლათ მიგვაჩნია, რათა მკითხველს ჰქონდეს ნათელი წარმოდგენა ერთისა და მეორეს შინაარსიანობაზე.

მხოლოდ ჩვენ ერთი გვაკვირვებს, რომ კომისიაში, რომელშიდაც ღებულობდა მონაწილეობას, ჯარის საკლუბო მუშაობის მთავარი ხელმძღვანელნი, რომელთაგანაც ჩვენ უნდა ვღებულობდეთ დირექტივებს ჩვენი მუშაობისას, გამოაქვთ დადგენილება ყოველგვარ კომენტარიების გარეშე, რომლითაც „პირველობას ანიჭებენ 1 ლეგიონს“.

აქედან ჩვენ მეტი დასკვნის გამოტანა არ შეგვიძლია, თუ არა ის რომ **შილერის** ტრაღედია **„ყაჩაღები“**, რომელიც მოკლებულია: პროგრამულობას, ორიგინალობას, სიახლეს და კოლექტიურობას უფრო მისაღებია წითელ-არმიელთა აუდიტორიისათვის და მათი პოლიტიკურ-სოციალურ აღზრდისათვის და არა ის ახალი ფორმები საკლუბო მასიურ მუშაობის, რომელიც ჩვენ მიერ იქნა ჩატარებული. სასაცილოც არის ერთი გარემოება, რომ კომისია შეფასების დროს გენი[illegible] მიერ დაწერილ პიესას ადარებს გუშინდელ სიბნელიდან გამოსულ კურსანტის შემოქმედებას, მის ნაწარმოებს. გვისაყვედურებენ „რატომ თქვენც არ აირჩიეთ კარგი აკადემიური პიესა“ო უნდა განუცხადოთ პატივცემულ ამხანაგებს, რომ ჩვენ პრინციპიალურათ წინააღმდეგი ვართ ამის. ჩვენის აზრით უფრო მიზან შეწონილია და მეტს სარგებლობას მოგვცემს თვით კურსანტის მიერ შექმნილი რამე, თუ გინდ ის მხატვრობის და ფორმის მხრივ ცოტას მოიკოჭლებდეს **„ყაჩაღებთან“** შედარებით. ჩვენთვის საინტერესოა ყოველმხრივ თვით შემოქმედება კურსანტისა, მისი სინამდვილე და არა მარტო „აქტიორობა“.

ჩვენი შეხედულობა, ჩვენი აღებული ხაზი ამ მხრივ, რომ სწორია ამის დასამტკიცებლათ მე მოვიყვან მხოლოდ 3 მუხლს ჟურნალ „Военное знание“-დან ამოღებულს წერილს ბერგმანისას **მასიური მუშაობის შესახებ კლუბებში**, რომელიც დაბეჭდილია ცალკე ბროშურათ და სამხედრო სკოლების მთავარ სამმართველოს პოლიტგანყ. გვაწვდის სახელმძღვანელოთ. მასში ბევრი სხვა რამეც არის საინტერესო, რომელსაც თუ წაიკითხავენ სხვა გვარათ შესცვლიდა კომისიის აზროვნებას ამ საკითხის გარშემო.

„25„ Постановка старых пьес должна по возможности уступить место новым формам театральной работы-формам самодеятельным. дающим возможность самым создавать свой репертуар“.

„26„ Поэтому органческая работа самого кружка, а равно постановка зрелищ должна вестис не столько в форме навязывания членам кружка профессиональных актерских навыков, сколько путем использования имеющих у курсантов военных и бытовых навыков. Первое место в работе драм-кружка руководитель должен уделить политинструкторской подготовке курсанта в широком смысле слова, стремясь развить в нем навыки имеющие общественное значение. и связанные с его будущей профессией-командира“...

„27„ Игру в *переживания“ и психологизм руков. к-ка должен заменить рациональным действием и демонстрацией умення. Курсант не должен играть ловкача-он должен показать свою ловкость; он не должен играть смельчака, а наглядно показать свою смелость, он не должен играть силача, а показать зрительному залу свою действительную силу“.

ბოლოს გეკითხებით საკლუბო მუშაობის მთავარ ხელმძღვანელნო, როგორ მოვიქცეთ; ვიმუშაოთ ისე როგორც ჩვენ გვესმის თუ თანახმად თქვენი დადგენილებისა კომისიასთან ერთად, რომლითაც თქვენ პირველობას ანიჭებთ აკადემიურ ძველ პიესებს და მხოლოდ დრამატიულ ხელოვნებისადმი მიდრეკილებას? საკითხს ვაყენებთ პრინციპიალურად და ველით განმარტებას.

**შა-ი-შა.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ახალი ამბები

— **სესიის დაბრუნება.** 13 აპრილს ქუთაისიდან დაბრუნდა ქარ. დივიზიის სამხედრო რევოლიუციონური ტრიბუნალის სესია.

— **აგარაკების გახსნა.** საკურორტო სამმართველოს ცნობით ბორჯომის და აბასთუმანის აგარაკებზე სეზონი გაიხსნება 15 ივნისს.

— **ტრამვაიზე შეხტომ-ჩამოხტომა.** ქალ. აღმასკომის დადგენილებით მიმავალ ტრამვაიზე შეხტომა-ჩამოხტომისათვის მოქალაქენი დაჯარიმებულ იქნებიან.

— **ტანვარჯიშობისათვის.** საქ. სახ. კომისართა საბჭომ ფიზიკური კულტურის საბჭოს გადასცა 300 არშინი ფართალი ტანთსავარჯიშო ტანისამოსისთვის.

— **წ.-კ. უცოდინარობის ლიკვიდაციისათვის.** მარტის განმავლობაში მთავარ პოლიტსამმართველოების მიერ გახსნილ იქნა წ.-კ. უცოდინარობის სალიკვიდაციო პუნქტი.

— 2 **მაისი უქმეა.** საქ. შრომის სახ. კომისარიატის დადგენილებით 2 მაისი გამოცხადებულია დასასვენებელ დღეთ.

— **ახალი სამკითხველო.** სოფელ ერწოში ახალ სამკითხველოს მოსაწყობად ქალ. აღმასკომმა გადასდო 100 მანეთი.

— **დახმარება სპარტაკს.** „სპარტაკის“ მესამე რაიონულ კლუბის სასარგებლოთ ტფ. პოლიტ-განათლებამ გადასდო 148 მანეთი.

— **სამკურნალო დახმარება ლეჩხუმს.** ჯანმრთელობის კომისარიატმა ლეჩხუმის მაზრის სამკურნალო პუნქტებს გაუგზავნა სადოსტაქრო იარაღები.

## წითელ-არმიელისთვის საჭირო ცნობები სავეტერინარო დარგიდან.

ცხოველები ადამიანის საუკუნო მეგობრები არიან. ამ მეგობრობას ცხოველებს არვინ უმტკიცებს ისე, როგორც გლეხი. მათ ცხოვრებასთან გლეხს თავის ცხოვრება აქვს გადაკვანძული; მათთან ერთად სძინავს, მათ სადგომში სვამს და სჭამს, მათ სადგომშივე ლხინობს, დუმილს ეძლევა და იქვე, ჟამთა ვითარების შემდეგ, ამ ქვეყანას ესალმება. ვის არ უნახავს მეცხვარე—გადახვეული თავის "ლორიას" (მთაში ცხვრის დიდ ძაღლს ეძახიან), მისი პირი სახეს მეამბორე და ტკბილის ალერსით მოსაუბრე: „ჩემო, ლორიავ, ჩემი ავლადიდების შემნახველო და დამფარველო". ვის არ უნახავს ხვნა—მთესველი გლეხი თავის „ლაბას“ (ხარის სახელია) და „ნიკორას“ (კამეჩის სახელია) გადახვეული და „ჩემი წვრილშვილის“ და „ერთ უღელს ვზიდავთ, ლაბავ, მე და შენ“-ის მთქმელი. ვის არ უნახავს გლეხი, რომელიც თავის გაოფლილ „ლაფშას“ (იაბო დაკოდილ ცხენის სახელია) თავის ჩოხის კალთით ცხვირპირიდან ოფლსა სწმენდავს და იმავე კალთით თავის სახეზე ოფლს იწმენდავს. ასე მჭიდროთ და მოურიდებლად არის შეწებებული გლეხის და ცხოველის სიცოცხლე ერთმანეთთან. გლეხი არ ფიქრობს, ვერ წარმოუდგენია, რომ მის „საუკუნო მეგობარს“, მრავალ სარგებლობის მომტანს, დიდი ზარალის და სიცოცხლის გამოსალმების მოტანაც შეუძლიან. აი რას მოგვითხრობს განსვენებული ვეტერინარ-ექიმი ლანგი ერთს თავის ნაშრომში. „რამოდენიმე წლის წინეთ, ერთს სოფელში, ერთს, ყველასაგან პატივცემულს, გლეხს ანდრიას ცხვირის ნესტოს შიგნითა მხარეს პატარა ძიძიბო გამოუვიდა; ძიძიბო თანდათან დიდდებოდა და არავითარ შინაურ მალამოს არ ემორჩილებოდა. რამოდენიმე დღის შემდეგ ამ ძიძიბომ ანდრია ლოგინში ჩააწვინა და მით მთელი სოფელი აახმაურა; ანდრიას გარშემო შემოკრებილ მეზობელთა შორის ერია, სამხედრო ბეგარის მოხსნის შემდეგ, სოფელში დაბრუნებული გლეხი, გიორგი, რომელსაც სალდათობაში ყოფნის დროს ცოტაოდენი განათლება მიეღო. გიორგიმ მოგროვილ მეზობლებს და ანდრიას ჯალაბს ურჩია საჩქაროდ ექიმთან გაეგზავნათ კაცი, რადგანაც ანდრიას სატკივარი სახუმარო საქმე არ იყო; მეზობლებმა და ანდრიას ჯალაბმა კაცის გაგზავნა ანიკო-მკითხავთან ამჯობინეს, რომელიც ავადმყოფთან სწრაფად მოცქრიალდა. მკითხავ-ანიკომ ანდრიას ავადმყოფობა ხატის მიზეზს დაუკავშირა და წამლის გასაკეთებლად ცხენის ძვლის ტვინი მოითხოვა. ანდრიას საყვარელი „ლაფშა“ რომელთანაც ანდრია მთელ თავის სიცოცხლეს ატარებდა და თავის ტანსაცმელით მის ტანს სწმენდავდა, ორი დღის მკვდარი სოფლის ბოლოს ეგდო; აი სწორეთ ამ ცხენის ძვლის ტვინი მოუტანეს ანიკო-მკითხავს, რომელმაც საჩქაროდ მალამო მოლესა და მით ანდრიას გასიებულ ცხვირს დაუწყო ზელა. მკითხავმა შრომის ფასი მიიღო და, ავადმყოფის დარიგების შემდეგ, გულდარხეინებული სახლისაკენ გაემგზავრა.

ანდრიას ცხვირის სისივემ, დაკლების მაგიერ, წამლის წასმის მეორე დღეს უფრო იმატა, ნახევარი ნესტო მოალპა და მთელ ტანზე იარები გამოაყარა.

ახლა კი გაუგონეს გიორგის და ექიმთან კაცი აფრინეს, მაგრამ გვიანღა იყო.

ექიმის მოსვლამდე ანდრია, ცხვირპირ დამპალ-დასახიჩრებული და მთელ ტანზე წყლულებით მოსილი, გარდაიცვალა. ექიმმა, ანდრიას სატკივრის შესახებ ცნობების შეკრების შემდეგ, ხალხს უთხრა! „ანდრიას ცხენის სატკივარი—ეგრედ წოდებული „საპი“ შეჰყრია და იმითი მამკვდარაო“. და ამ თავისი სიტყვების დასამტკიცებლად ანდრიას ცხვირიდან ჩირქი წაიღო ლაბარატორიაში გამოსარკვევად, სადაც მართლა ამ ჩირქში აღმოჩნდა საპის გამომწვევი ბაცილები. ხალხი ეხლა მიხვდა, რომ ანდრიას „ლაფშა“ ხშირად ავადხდებოდა და ცხვირიდან რაღაცა გადმოზდიოდა და ბოლოს მოკვდა—ალბად ამ ცხენიდან გადაედო ანდრიასაც ეს ავადმყოფობა,—ამას ამბობდა ხალხი კარგა ხნის განმავლობაში“.

აი, ამხანაგო, წითელ-არმიელო! შენ, რომელიც მშობლების მიერ გამოგზავნილი ხარ მსახურობ არტილერიაში, თუ კავალერიაში და ცხენებთან გაქვს საქმე, დაუკვირდი ზემოდ მოყვანილს ცხოვრებიდან ამოღებულს სინამდვილეს, გაიგე და შეისწავლე—თუ რას წარმოადგენს ცხენების სატკივარი „საპი“, საიდან ჩნდება იგი, რაც სახეებით გამოიხატება, რა სურათს წარმოადგენს ამ სენით ავადგამხდარი სხეული, რა ნიშნები სდევს ამ ავადმყოფობას და რა საშუალებით შეიძლება ამ სატკივრის თავიდან აცილება; ყოველივე ეს შენ, წითელ-არმიელო უნდა იცოდე—და საჭირო თადარიგი დაიჭირო ხოლო, როცა სამსახურის ვადა გაგივა და შინ დაბრუნდები აქ შეძენილი ცოდნა შენს მეზობლებს გაუზიარე ისინიც გააფრთხილე.

მაშ, აბა, ყური გულმოდგინეთ დამიგდე, მხოლოდ წინასწარ კი უნდა შევთანახმდეთ, რომ ზემო აღნიშნულ სატკივარს ჩვენც ისევე დაუძახოთ, როგორც შენი თანამოძმე რუსის გლეხი ეძახის, ესეიგი „საპი“; ვინაიდგან ჯერ-ჯერობით ქართულ ენაზე არ არის ნაპოვნი ისეთი სიტყვა, რომელიც სავსებით გამოხატავს ამ სენის შინაარსს.

ან იქნება ნაპოვნია, მაგრამ მედაშენ, ამხანაგო, არ ვიცით; რა უყოთ—არა ცოდნა, ხომ არა ცოდვაა; ის კი ვიცი, და დარწმუნებულიც ვარ, რომ სიტყვა „ქოთაო“-ს, რომლითაც ზოგიერთნი თარქმნიან აღნიშნულ სენს „საპ“-ს, არაფერი საერთო არა აქვს „საპთან“, რადგან „ქოთაო“ არის ცხენის სხვა სატკივარის „Мыт-ის“ სახელი.

**კითხვის მოკლე ისტორიული მიმოხილვა.**

საპი წარმოადგენს ცხენის ერთ-ერთს სატკივარს, რომელიც უკვე ცნობილი იყო დიდი ხნის წინეთ. ამ სატკივრის შესახებ ცნობებს ვპოულობთ საბერძნეთის დიდ მეცნიერების, არისტოტელის და ჰიპოკრატის, ნაწარმოებში. საშუალო საუკუნეებში გერმანიის სახალხო უფლებით ეს სატკივარი ცნობილი იყო — განდეგილ — კეთროვანებად, რომელსაც სხვა და სხვა სახელს უწოდებდნენ და სანამ ადამიანი, ამ სენით შეპყრობილი, არ გაიწმინდებოდა, მას ხალხში არ უშვებდნენ. 1682 წელში გერმანიის დიდი მეცნიერი, ვალგელმონტი „საპს“ ადარებდა ადამიანის სატკივარს „სიფილისს“.

## ქართულ მსროლელ დივიზიის მასწავლებელთა მე-3-მე კონფერენცია.

**სხდომა პირველი.**

სხდომა გაიხსნა 14 აპრილს მიმდინარე 1925 წ. საღამოს ხუთ საათზე.

კონფერენციას გადამწყვეტი ხმის უფლებით დაესწრნენ მეორე ლეგიონიდან ორი დელეგატი, მესამიდან სამი ტფილისის გარნიზონის მთელი მასწავლებელთა შემადგენლობა.

პრეზიდიუმში არჩეულ იქნენ; თავმჯდომარედ ამხ. თალაკვაძე. წევრებად: მაჭავარიანი და დგებუაძე.

რეგლამენტის შემუშავების შემდეგ მიღებულ იქნა შემდეგი დღის წესრიგი:

1) მოხსენება მიმდინარე მომენტზე.

2) მოხსენება სასკოლო მუშაობის შესახებ.

3) მოხსენება ადგილებიდან.

4) მოხსენება ანბანის სწავლებაზე „მთლიან სახეთა“ მეთოდით.

5) მოზრდილთათვის ანბანის „სინათლისაკენ“ გარჩევა.

6) მოხსენება კომპლექსიურ მეთოდზე.

7) წერა კითხვის უცოდინართა სკოლაში მეცადინეობის დროს ხანგრძლივობა.

8) პროგრამების გარჩევა.

9) წითელ არმიელებიდან მასწავლებლების თანაშემწეთა არჩევა და მომზადება.

10, სკოლების მოწყობა.

11. სასკოლო ბიურო, სექცია და საბჭოები.

12. მეთოდიური მუშაობის გაცხოველება გაზეთ „წითელ არმიელის“ საშვალებით,

13) ექსკურსიები.

14) მიმდინარე კითხვები.

კონფერენციას მიესალმა ამხ. თალაკვაძე, მიულოცა მასწავლებლებს იმ დიდ მუშაობის სასახელოდ დაგვირგვინება, როგორიც იყო ქართულ ჯარში წ.-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია, რომელიც საწინდარია იმის, რომ ჩვენი წითელ არმიელები რომელნიც ეზიარნენ წითელ ყაზარმებში სწავლა-განათლებას, დღეს კი დათხოვნილნი უვადო შვებულებაში, შეიტანენ სოფელში თავის ცოდნას და მით ხელს შეუწყობენ მეურნეობის აყვავებას, სოფლის კულტურულად ამაღლებას, რითაც უზრუნველყოფილი იქნება პროლეტარიატის საბოლოო გამარჯვება.

**მოხსენება მიმდინარე მომენტზე.**

მომხსენებელი ამხ. ჩანტლაძე აღნიშნავს საბჭოთა მთავრობის ყველა იმ მიღწევებს პოლიტიკურ და ეკონომიურ ფრონტზე, რომელთაც ადგილი ჰქონდა დღემდი, იმდენად თვალსაჩინოა ეს მიღწევები, რომ ევროპის ბურჟუაზია იძულებული ხდება ანგარიში გაუწიოს საბჭოთა მთავრობას და იცნოს იგი. მაგალითად, ინგლისი და სხვა სახელმწიფოები. დანარჩენი სახელმწიფოები, რომელნიც ჯერ-ჯერობით ჩვენთან მტრულად არიან განწყობილნი უნდა მიბაძონ ინგლისს და იცნან საბჭოთა კავშირი.

ეკონომიურ ფრონტზე გამარჯვება გამარჯვებას მისდევს. ფინანსიური პოლიტიკა სასურველად ტარდება ცხოვრებაში, ტრანსპორტი აღდგენილია და სხვა

დასასრულ, თავის ვრცელ და შინაარსიან მოხსენებას ამხ. ჩანტლაძე ათავებს კრებისადმი მიმართვით:

საბოლოო გამარჯვების მისაღწევად აუცილებლად საჭიროა კვლავაც თქვენი აქტიური მუშაობა ჩვენს წითელ ჯარში გათვითცნობიერების და განათლების შესატანად.

მოხსენების შემდეგ მიღებულ იქმნა ასეთი რეზოლიუცია; მოისმინა რა მოხსენება ამხ. ჩანტლაძისა მიმდინარე მომენტზე, სკოლის მუშაკთა მე-3-ე კონფერენცია, სცნობს, რომ ჩვენი ქვეყანა წინ მიიწევს, მაგრდება, ასეთს ჩვენს აღორძინებას მოჰყვა ჩვენი ცნობა ინგლისის და შემდეგ დანარჩენ რიგ სახელმწიფოთა მიერ. მაგრამ საფრთხე ბურჟუაზიულ სახელმწიფოთა მხრივ ინტერვენციის ცდით ჩვენი მტკიცე მდგომარეობის შესარყევად ჯერ კიდევ არსებობს. ამიტომ ჩვენი წითელი ჯარი მხნედ უნდა იდგეს რევოლიუციის მონაპოვართა დასაცავად, ეს ჯარი მარტო შეიარაღებული სამხედრო ძალა კი არ უნდა იყოს, არამედ კულტურულად ამაღლებული, გათვითცნობიერებული, რისთვისაც საჭიროა თავდადებული ბრძოლა წერა-კითხვის უცოდინარობის მოსასპობათ, რომ თვითეულმა ჯარის კაცმა გაბრწყინებულმა მეცნიერების სხივებით უკუ აგდოს ყოველივე ძველი ქვეყნიდან მიღებული ცრუმორწმუნეობა და წარემართოს დაუსრულებელ თვითგანვითარების გზით.

აი ამოცანა, რომელიც უნდა შეასრულოს სკოლამ. ამ ამოცანის შესასრულებლად სკოლის მუშაკთა კონფერენცია მოუწოდებს ყველას სასკოლო დარგში მომუშავეთ ქართულ წითელ ჯარში.

(დასასრული შემდეგ №-ში)

# მეცნიერება და ტექნიკა

## ჰაერის განოყიერება.

ეხლა ხან ამერიკაში დაიწყეს ჰერის ხელოვნურად განოყიერება. ეს ცდები არ არის ახალი. ჰაერის განოყიერება პირველად გერმანელებმა სცადეს მსოფლიო ომის ხანებში, რამაც ერთობ საგულისხმიერო შედეგები მოიტანა.

როგორც ყველასათვის ცნობილია, მცენარეები თავის საკვებ მასალას ღებულობენ არა მარტო მიწიდან, არამედ ჰაერიდანაც და სახელდობრ მიაქვთ ჰაერიდან ე. წ. ნახშირ მჟავა გაზი, რომელიც უმთავრესი მასალაა მცენარის ორგანიზმის განვითარებისათვის. რადგანაც ჰაერში ჩვეულებრივი პირობების დროს ერთობ მცირე რაოდენობით იმყოფება ნახშირმჟავა გაზი და მეორე მხრივ მას უდიდესი მოთხოვნილება აქვს მცენარეებში, ამიტომ აზრად მოუვიდათ გაენოყივრებიათ, დაეტენათ, ჰაერი ამ ფრიად სასარგებლო გაზით. გერმანიაში წარმოებულმა ცდებმა ამ მიმართულებით, რადგანაც ფრიად კარგი შედეგები მოიტანა, განიზრახეს ჰაერის განოყიერების საქმისთვის ფართე სარბიელი მიეცათ. ამ მიზნისათვის გამოიყენეს რურის საწარმოო რაიონი. ქარხნების მილებიდან ამომავალი კვამლი, რაიც შეიცავს ნახშირ მჟავა გაზის დიდ პროცენტს გაწმენდილი იქნა სხვა მცენარის საზარალო შემადგენლობისაგან და შემდეგ განსაკუთრებული მილებით გაყვანილი იქნა საცდელ მინდვრებში, სადაც ნახშირმჟავა გაზი თავისი სიმძიმის გამო ვრცელდებოდა ნიადაგის ზევით.

გამოირკვა, რომ ჰაერის განოყიერების ასეთ პირობებში კართოფილი იძლეოდა 4-5 ჯერ მეტ მოსავალს ვიდრე ნორმალურ პირობების დროს- ქერის მოსავალი გადიდდა ორჯელ, ხახვის კი სამჯერ. ძლიერ გაიზარდა აგრეთვე შაქრის ჭარხლისა და მუხუდოს მოსავალი.

აქვე გამოირკვა, რომ იმ მცენარეებს, რომლებიც ასე გადამეტებით იკვებებიან ნახშირმჟავა გაზით ძალიან ცოტა წყალი ესაჭიროებათ, და აქედან გვალვაც მათ თითქმის ვერაფერს აკლებს. ეს ხერხი თქმა არ უნდა ერთობ ხელ საყრელი იქნება იმ ადგილებში, სადაც გვალვებს პერიოდიული ხასიათი აქვთ. ჩრდილოეთ ამერიკაშიც სცადეს ასეთი საშვალებით ჰაერის განოყიერება, მაგრამ უფრო ვიწრო მასშტაბით, ფართე მინდვრებში კი არა, სათბურებში. გამოირკვა, რომ აქ ნახშირმჟავა გაზის ასეთი მოხმარება 175 პროც. ზრდის მოსავალს. აქვე აღსანიშნავია ის გარემოება, რომ მეტად დიდდება მოსავალში, ნაყოფში შაქრისა და სახამებლის (კრახმალი) პროცენტული შემადგენლობა. ესენი კი მეტად საყურადღებო საკვები მასალებია ყველა ორგანიზმისათვის. მიღებული შედეგები დიდ პერსპექტივებს შლის მეურნეობის განვითარებისათვის და ამასთანავე შესაძლებელი ხდება გამოყენებული იქნეს ქარხანების მილებიდან გასული ის კვამლი, რომელიც უსარგებლოდ მიგვაჩნდა და ტყვილა უბრალოდ იკარგებოდა ჰაერში.

**შეიხ:**

ნ. დ. ს. ც. ტირაჟი 800 სამხედრო სტამბა კეცხოველის ქ. 3. პასუხისმგებელი რედაქტორი ლ. ჩანტლაძე.